განკარგულება:**g-81.81222154**
თარიღი:**03/08/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №40

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ავტომანქანა ამწეს (კალათის ტიპი, თეთრი ფერი, სახელმწიფო ნომერი BB655BP, მოდელი- D.3 ELF, საბალანსო ღირებულება 40 000 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით (უსასყიდლო უზუფრუქტი) სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ,,კომუნალური მომსახურების"-თვის (დირექტორი ვალერიან ხაბულიანი) გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლების გადაცემის, საწყისი სარივატიზაციო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის № 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ავტომანქანა ამწეს (კალათის ტიპი, თეთრი ფერი, სახელმწიფო ნომერი BB655BP, მოდელი- D.3 ELF, საბალანსო ღირებულება 40 000 ლარი) პირდაპირი განკარგვის წესით (უსასყიდლო უზუფრუქტი) სარგებლობის უფლებით ა(ა)იპ ,,კომუნალური მომსახურების" სამსახურისთვის გადაცემაზე, ა(ა)იპ ,,კომუნალური მომსახურების" სამსახურის არსებობის ვადით.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ.№69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. N65, ტელ: +995 551179741
ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com